პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი № 34 (12242) | პარასკევი, 9 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

მაღალი ნდობა

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის არტელის კოლმეურნეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად „ჯუთაისის საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვახტანგ პავლეს-ძე მეტაფანიძე** და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შოთა სიმონის-ძე ყობახიძე.**

ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხინვალის საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, **მაგრამ ხომ ნათქვამია, „ბებერი ხარისა რქანიც კი ეწევიანო“.**

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. სოფელი ზემო ჭედი მთლად შეიცვალა, დამშვენდა, კოლმეურნეთა ოჯახებში შრომის ხვავმა და ბარაქამ იმატა.

სოფლის წინსვლაში, კოლმეურნეობის უნარიანად გაძღოლაში თავი ისახელა კობა ჩოხელის მოწაფემ არსენ კობაიძემ. იგი ცოდნითა და დიდი პრაქტიკული გამოცდილებით არის შეიარაღებული, ამასთან ღრმად შეგნებული აქვს მოვალეობა საზოგადოების წინაშე. კობაიძის სახელი, როგორც უნარიანი ხელმძღვანელისა არათუ ზემო ჭედს, წითელწყაროს რაიონსაც განცდა. ამიტომაც ამ დღეებში მეზობელი სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს.

სურათზე: არსენ კობაიძე.

ARSEN KOBAIDZE — MEMBER OF THE SUPREME SOVIET OF THE USSR

არსენ კობაიძე — გვემოქედელთა წინამძღოლი

კობა ჩოხელი დაგვიბერდა. ვინ უხელმძღვანელებს ზემო ქედის კოლმეურნეობას? ვის შეუძლია ასახელოს ქედის კომუნისა და კოლმეურნეობის დამაარსებელი კობა ჩოხელი?

— ზემო ქედში უნარიან ხალხს რა გამოლევს. კობას გაზრდილი არსენ კობაიძე ჩოხელის სამაყო შემცვლელი იქნება. — თქვეს და გადაწყვიტეს: თავმჯდომარედ არსენ კობაიძე აირჩიეს.

— აბა, შენ იცი, შვილო, არსენ, შენი იმედი მაქვს.

— ძია კობა, ფიქრი ნუ გაქვს. შენც აქ არა ხარ, დაბერდი, მაგრამ ხომ ნათქვამია, „ბებერი ხარისა რქანიც კი ეწევიანო“.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. სოფელი ზემო ქედი მთლად შეიცვალა, დამშვენდა, კოლმეურნეთა ოჯახებში შრომის ხვავმა და ბარაქამ იმატა.

სოფლის წინსვლაში, კოლმეურნეობის უნარიანად გაძღოლაში თავი ისახელა კობა ჩოხელის მოწაფემ არსენ კობაიძემ. იგი ცოდნითა და დიდი პრაქტიკული გამოცდილებით არის შეიარაღებული, ამასთან ღრმად შეგნებული აქვს მოვალეობა საზოგადოების წინაშე. კობაიძის სახელი, როგორც უნარიანი ხელმძღვანელისა არათუ ზემო ქედს, წითელწყაროს რაიონსაც განცდა. ამიტომაც ამ დღეებში მეზობელი სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს.

სურათზე: არსენ კობაიძე.

ДЕПУТАТОМ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР ВЫДВИНУТ ДОРОГОЙ ТОВАРИЩ

დეპუტატობის კანდიდატების დასახელება გრძელდება

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის ქალაქის ტრანსპორტის ელექტროსადგურის ბრიგადა, ინჟინერ-ტექნიკოსი ალექსანდრ ალექსანდრეს-ძე ბოლოტნიკოვი, ფოთის ბაზრ

იცნობდეთ: ეს ნაშრომი წარდგენილია ლენინურ პრემიაზე

ჩაი ჩქაროსნული მეთოდით

საროლერო საამქროს მექანიზაცია

შვიდწლედის ბოლოს ჩვენმა მეჩაიეებმა უნდა მოკრიფონ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. როგორ გადალამეთოთ დიდძალი ჩაი? ასე დაისვა საკითხი. ამ ამოცანის გადაწყვეტის პროცესში ჩაის მრეწველობის მუშაკები წაწყდნენ დიდ შეფერხებებს, რომელთა გადასალახავად — დიდი შრომა გასწიეს.

ჯერ კიდევ 1958 წელს რესპუბლიკაში მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 134 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასეთი დიდი რაოდენობით ჩაის ფოთლის გადამუშავება შეფერხდა. შემდეგ წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მოკრეფილი ფოთლის გაფუქების თავიდან აცილების მიზნით წარმოება იძულებული იყო წასულიყო ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის გზით, რასაც თან სდევდა პროდუქციის ხარისხის დაცემა. შექმნილი მდგომარეობით დაინტერესდნენ ჩაის წარმოების მუშაკები. დღის წესრიგში დადგა ტექნოლოგიური პროცესის გადასინჯვისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის რეზერვების გამოვლენების საკითხი.

შავი ბაიხაო ჩაის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი შემდეგი ოპერაციებისაგან შედგება: ღონობა, გრეხა, ფერმენტაცია, ხმობა და დახარისხება. ამათგან ფერმენტაციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, ჩაის ხარისხი ძირითადად მასზეა დამოკიდებული. გრეხა განაპირობებს ფერმენტაციის სრულყოფილად ჩატარების შესაძლებლობას, ამიტომ დიდ გავლენას ახდენს როგორც ფერმენტაციის ოპერაციაზე, ისე პროდუქციის ხარისხზეც და ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ გადამწყვეტ რგოლად წარმოგვიდგება. საჭირო შრომის მიხედვით იგი ყველაზე ძმიმე სამუშაოა, ხოლო ორგანიზაციული თვალსაზრისით —ყველაზე პასუხსაგები. ყველა ზემოდაღნიშნულთან ერთად გრეხის ოპერაციას ნაკლიც აქვს. ეს ოპერაცია სრულდება პერიოდული ქმედების მანქანებზე — როლერებზე, რომლებიც საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის თვალსაზრისით წარმოებისათვის სრულიად მიუღებელია და აფერხებს ჩაის მრეწველობის შემდგომ პროგრესს. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მოეწყო როლერების რეკონსტრუქციისა და ახალი უწყვეტი ქმედების როლერების შექმნის მრავალი ცდა. მაგრამ ერთი მხრივ გრეხის ოპერაციის ტექნოლოგიურმა სირთულემ, ხოლო მეორე მხრივ სათანადო ტექნიკურ-მეცნიერული მონაცემების უქონლობამ დღემდე არ მოგვცა ამ საკითხის დადებითად გადაჭრის საშუალება.

ამ მიმართულებით დასმული ამოცანის გადასაწყვეტად სპეციალისტთა ერთი ნაწილი დაადგა არსებული როლერების ბაზაზე ნაკადური ხაზის შექმნის გზას, მეორე კი — სრულიად ახალი, უწყვეტი ქმედების მანქანების შექმნის გზას. პირველი გზა, ერთი შეხედვით თითქოს უფრო ეკონომიური და მარტივი უნდა იყოს, რამდენადაც იგი ემყარება არსებული მანქანების გამოყენებას. უფრო ღრმა ანალიზი კი საკითხს მეორე გზის სასარგებლოდ წყვეტს, რადგან შესაძლებელი ხდება წარმადობის მნიშვნელოვანი ზრდა, პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის ამაღლება, გრეხის ოპერაციის ტექნოლოგიური რეჟიმების ავტომატური რეგულირების უზრუნველყოფით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უწყვეტი ქმედების ნაკადური ხაზის შექმნის საკითხი გაქიანურდა. 1958 წლისათვის ჩაის მრეწველობა თითქმის კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. იგი ვერ აუდიოდა დიდძალი ნედლეულის გადამუშავებას. ამ პირობებში წარმოებას ორი გამოსავალი ჰქონდა: სწრაფი ტემპებით ახალი ფაბრიკების მშენებლობა ან წარმოების რეზერვების გამოვლინება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გზით. პირველი შედარებით ადვილი იყო, მაგრამ მოითხოვდა დიდ დროსა და კაპიტალურ დაბანდებებს, ხოლო მეორე უფრო რთული იყო, მოითხოვდა წარმოების ყოველმხრივ ანალიზს, რეზერვების გამოვლინებას, ახალ ღონისძიებათა დასახვას და ოპერატიულად შესრულებას. წარმოებასა და ჩაის დამზადებას შორის შექმნილი დისპროპორციით გამოწვეული მდგომარეობის გამო ჩაის მრეწველობა, კერძოდ ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მუშაკები იძულებული იყვნენ აერჩიათ შედარებით ძნელი, მაგრამ, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, უფრო ეფექტური მეორე გზა.

ამ მიტად აქტუალური საკითხის გადაწყვეტისას ტექნოლოგიურ მოწყობილობათა რეკონსტრუქციისთვის საჭირო, მეცნიერულად დამუშავებული საინჟინერო საფუძვლების უქონლობის გამო ჩაის მრეწველობა კვლავ წაწყდა დიდ წინააღმდეგობას.

1958 და 1959 წლებისათვის მრეწველობისათვის ცნობილი იყო მრავალი რაციონალიზატორული წინადადება და ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ეხებოდა საოლერო საამქროების მექანიზაციის სხვადასხვა სქემებს ან გრეხის ოპერაციის კვლევისა და გაუჯობესების საკითხებს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ეს წინადადება არ იძლეოდა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ, მთლიანობაში გადაწყვეტილ პასუხს საოლერო საამქროს მექანიზაციის ან მისი სრული მოდერნიზაციის საკითხზე. ამასთან ერთად სპეციალისტთა საკმაოდ დიდ ჯგუფში ღრმად იყო გამჯდარი დრომოჭმული აზრი როლერებში წნეხების გამოყენების, გრეხის ხანგრძლივობის მუშა ორგანოების ბრუნთა რიცხვის, გრეხის შედეგად მიღებული ფრაქციების თანაფარდობის და სხვ. შესახებ. ყოველი ახალი წინადადება ამა თუ იმ ფარგლებში ხვდებოდა ინტუიციურად დადგენილ, კონსერვატორულად შემორჩენილ ნორმებს და არ იძლეოდა წინსვლის შესაძლებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი და დიდად მისასალმებელია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მუშაკების მიერ გამომჟღავნებული ენერგია, მათ მიერ გაწეული დიდი მუშაობა, ტექნიკურ საკითხებში ღრმად ჩაწვდომის უნარი და წარმოების ორგანიზაციული საკითხების დამუშავება ყველა დეტალში. საკითხის სათანადო ტექნიკურ დონეზე გადასაწყვეტად მათ მოაწყეს მრავალი ტექნიკური თათბირი უშუალოდ ჩაის ფაბრიკებში ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლების, მეცნიერების, წარმოების მუშაკების, მოწინავე რაციონალიზატორებისა და საწარმოს ფართო მასების თანადასწრებით.

თათბირზე განიხილავდნენ და კრიტიკულ ანალიზს უკეთებდნენ ყველა ახალ წინადადებას, პრაქტიკულად ამოწმებდნენ უშუალოდ წარმოების პირობებში. არ შეიძლებოდა, რომ მუშაობის ასეთ მეთოდს, რომელშიც ამოძრავებული იყო ვეებერთელა სისტემის ყველა პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტი, დადებითი შედეგი არ გამოეღო და არ მოეცა სასურველი გადაწყვეტილება იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც იმყოფებოდა იმ დროისათვის ჩაის მრეწველობა.

საკითხის ყოველმხრივი შესწავლის, კარგი ორგანიზაციისა და დიდი შრომის შედეგი იყო 1960 წელს რესპუბლიკის ჩაის ნედლეულის გადასამუშავებელ 27 საწარმოში საოლერო საამქროების აღჭურვა მექანიზაციის მოწყობილობებით, რამაც დიდი ტექნიკურ-ეკონომიური შედეგი გამოიღო. მიღებული შედეგები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური მსჯელობის საგანი გახდა. ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მიერ მიღებული ღონისძიებანი.

1961 წლის სეზონისათვის საოლერო საამქროს მექანიზაცია განხორციელდა კიდევ 25 სხვა ფაბრიკაში, რითაც მექანიზებული მოწყობილობით აღჭურვილი ფაბრიკების რიცხვი რესპუბლიკაში 52-მდე გაიზარდა.

შემოწმებული შედეგების მიხედვით აღნიშნული ღონისძიების დანერგვით მიღებულ იქნა შემდეგი ეფექტი:

მოსპობილია დისპროპორცია წარმოებასა და ნედლეულის დამზადებას შორის; მიღწეულია მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია; დაზუსტებულია გრეხის ტექნოლოგიური რეჟიმები და მიღწეულია მისი უკეთ შესრულების პირობები როგორც „პიკური“ შემოსავლიანობის, ისე ნორმალური დატვირთვის დროს; მიღწეულია მუშახელის ეკონომია 23,8 პროცენტით; ჩაის ფაბრიკების გამტარიანობა გაზრდილია 58 პროცენტით.

ზემოაღნიშნული შედეგების რეალიზაციით სახელმწიფომ მილიონობით მანეთი ეკონომია მიიღო.

ტრესტი „საქართველოს ჩაი“ მთელი თავისი მრავალრიცხოვანი კოლექტივით კვლავაც დგას გამარჯვების წინაშე, რადგან თავისი მუშაობის დროს ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის ისტორიული მიზნდასახულებით. ლენინურ პრემიაზე წარდგენილ ავტორთა ჯგუფი არ კმაყოფილდება დიდი მიღწევებით. მას მიზნად აქვს დასახული ახლო მომავალში შექმნას მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებული ჩაის ფაბრიკა. ამ მიმართულებით მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის კათედრასთან მჭიდრო კავშირში მუშავდება უწყვეტი ქმედების როლერების შექმნის საკითხი.

„გაწეული შრომისა და უკვე მიღებული შედეგების მიხედვით ჩაის მრეწველობის საინიციატივო ჯგუფმა ა. ხუროძის ხელმძღვანელობით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ჩაის მრეწველობაში. მსოფლიოში ეს პირველი ჩაის ფაბრიკებია მექანიზებული საოლერო საამქროთი. ა. ხუროძის, ვ. მშვიდობაძის, ჰ. კუპრაძის, ი. ხოკოლავას, ა. კალანდაძის, შ. დარჩიას, მ. იოლკინის, დ. მეკავანაძის, ბ. ჯობაძის, თ. ყვავილაშვილის, ლ. ქირია, დ. ნაცკლაშვილის, ი. დემეურიშვილის, გ. ცხადაძისა და გ. ჯმარჯიძის კოლექტიური ნაშრომი: „ჩაის ფოთლის გრეხის ახალი ტექნოლოგიური სქემა ჩაის ფაბრიკის საოლერო საამქროს კომპლექსური მექანიზაციით როლერების ცენტრალიზებული მართვით“. ავტორთა ჯგუფი სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ ღირსეულად არის წარდგენილი ლენინური პრემიის მოსაპოვებლად.



დოც. ა. კაკალაშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის კათედრის გამგე.

• • •

სურათზე: ჩაის ფაბრიკის საოლეროს საამქრო.

კარგია, ჩვენთანაც დავნერგოთ!

სკოლა და შრომა

საწარმოო და პოლიტექნიკურ სწავლებაში გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუჯობესების მიზნით თბილისის კიროვის რაიონის შრომითი სწავლების მასწავლებლები, შრომითი საგნების სასწავლო ნაწილის გამგეები 20 კაცის შემადგენლობით მოიმგზავრებიან დედაქალაქს ვეფვ►ეთ.

ბაქოს 23-ე საშუალო სკოლაში, სადაც 1.500 მოსწავლეა, 1959-60 სასწავლო წლიდან ყველა საწარმოო სწავლებაზეა გადაყვანილი.

საწარმოო სწავლების მეათე კლასი ორ დღეს, სამშაბათსა და კვირას, საწარმოო სწავლებას გადის ბაქოს ცენტრალურ ფოსტა-ტელეგრაფში. 22 მოსწავლე უკვე დაეუფლა სპეციალობას და დამოუკიდებლად მუშაობს ტელეგრაფში. სპეციალობის დასაუფლებლად საკმარისი აღმოჩნდა 2 წელი.

მე-9 კლასის მოსწავლეები ეუფლებიან მკერავის სპეციალობას, აქვთ სანიმუშოდ მოწყობილი სამკერავლო სახელოსნო.

პარალელური კლასები საწარმოო სწავლებისა და გადიან ავტომარემონტო ქარხანაში, სადაც კარგი პირობებია შექმნილი მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის. საშეფო ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ სკოლას. საწარმოო სწავლების ნორმალური მსვლელობისათვის წარმოებასა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, გათვალისწინებულია თვითეული მხარის ვალდებულებები.

სკოლას აქვს კარგი სასპორტო მოედანი ყველა საჭირო მოწყობილობით.

ცალკეა მოწყობილი ელექტროტექნიკისა და მანქანათმცოდნეობის კაბინეტი. საინტერესოა, რომ მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეებს სკოლაში პატარა ელექტროსადგური გაუკეთებიათ.

ვნახეთ კლასებში, კლას-კაბინეტებში და კაბინეტ-ლაბორატორიებში მეტად ორიგინალური დაფები, რომლებიც ჩვეულებრივ საკლასო დაფებს 3-ჯერ და მეტად აღემატებიან. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ მასწავლებელმა წაუშლელად ახსნას მათემატიკური ამოცანა, დაამტკიცოს თეორემა. დაფა თვალსაჩინოებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

ქ. ბაქოს 27-ე საშუალო სკოლაში ინგლისური ენის შვიდწლედია.

სკოლის ისტორიის მასწავლებელს მოუწყვია ვ. ი. ლენინის მუზეუმი. აქ სხვა ძვირფას მასალებთან ერთად ასახულია დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის პერიოდი, როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში მეფის ჯალათებისაგან დევნილი ვ. ი. ლენინი ფარულად ცხოვრობდა ქოხში სადგურ რაზლივის ახლოს.

სკოლის საწარმოო სწავლების ბაზაა მანქანათმაშენებელი ქარხანა, სადაც მოსწავლეთა სწავლებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. სკოლაში სამი კინოაპარატი აქვთ. ჯეროვან სიმაღლეზე დგას სიმღერის, სასულე ორკესტრის, ცეკვის თვითმოქმედი წრეების მუშაობა.

სკოლის კლუბში დავესწარით სიმღერის წრის მეცადინეობას. ორასმა ბავშვმა ერთხროულად შეასრულა რამდენიმე სიმღერა.

ᲨᲣᲥᲘ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

სოფლად ელექტროფიკაციის დანერგვისათვის ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში. „საქმთავსოფლელექტროს“ ახალციხის ელექტროქსელის კოლექტივს ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები აქვს. მან ელექტროენერგიის რეალიზაციის წლიური გეგმა 132,5 პროცენტით შეასრულა.

აღნიშნულ ორგანიზაციას 1962 წლისათვის გადაწყვეტილი აქვს მთლიანად დაამთავროს ახალციხის გამსხვილებული რაიონის სოფლების ელექტროფიკაცია. წელს ახალქალაქის რაიონში ელექტროფიცირებული იქნება ოკამის მეხოლეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა მთლიანად და 10 საკოლმეურნეო სოფელი.

დ. ჯინჭველაძე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ელექტრომექანიკური ქარხანა წელს გამოუშვებს ახალ პროდუქციას — კომპრესორების სინქრონულ ძრავებს. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად დაამზადოს პირველი საცდელი ძრავი.

სურათზე: მოწინავე მუშები (წინა პლანზე) ა. საგგიანი და ს. კვირკველია აწყობენ საცდელი აგრეგატის სტატორის გრაგნილს.

ფოტო პ. ლუცენკოსი



წერილი რედაქციას

როდის იქნება?

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ რომელ მაღაზიაშიც უნდა შეხვიდეთ და უსაშმრო სამართებლის პირი მოსთხოვოთ, ყველგან გულცივად გიპასუხებენ, ჯერჯერობით არა გვაქვს, იქნებაო.

ამ კითხვა-პასუხში გადის კვირეები, თვეები...

გვაინტერესებს, მაინც როდის იქნება გასაყიდად მაღაზიებში უსაშმრო სამართებლის პირები?

ი. ბიწაძე, ს. ფხალაძე, პ. ბიწაძე.

რედაქციისაგან. მსგავს სიგნალებთან, საჩივრებთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ ვაჭრობის სამინისტროს. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. რ. ელიგულაშვილმა განაცხადა:

— როგორც თქვენთან რედაქციაში, ისე ვაჭრობის სამინისტროში მშრომელთა მრავალი განცხადება და საჩივარი შემოდის. მათში გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სავაჭრო ქსელში ჯერჯერობით მოუგვარებელია უსაშშრო სამართებლის პირით ვაჭრობა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ამ საქონლის ფონდი საკმარისი არ აღმოჩნდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მიმდინარე წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მიიღო გადამჭრელი ზომები და პირველ კვარტალშივე მომხმარებლები დაკმაყოფილებული იქნებიან უსაშშრო სამართებლის პირებით.

ᲔᲣᲛᲘᲜᲓᲐᲛᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲘᲜᲔᲒᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲡ**

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის სამშენებლო ტრესტის სამტრედიის უბნის მშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა სამტრედიასა და აბაშაში რკინიგზელთა საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

ამ დღეებში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ლამაზი ოთხსართულიანი 33-ბინიანი საცხოვრებელი სახლი სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე. ახალი საცხოვრებელი სახლი მიიღეს აგრეთვე აბაშელმა რკინიგზელებმა.

მშენებლობაზე, რომელსაც ინჟინერი გ. პაიკაძე ხელმძღვანელობს, თავი ისახელეს ბრიგადირმა ო. კალანდაძემ, დურგლებმა ვ. ახობაძემ, ტ. ტიტოვმა და სხვ.

ვ. ᲝᲛᲐᲘᲐ.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ ᲮᲐᲕᲣᲠᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ხაშურელმა მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. საქმეაჭრობის განყოფილებამ სპეციალურად აგებულ შენობაში გახსნა სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზია.

გაიხსნა აგრეთვე მოდების ახალი ატელიე.

დ. ᲤᲐᲠᲔᲯᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲦᲛᲝᲩᲠᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲝᲩᲠᲘᲚᲝᲗᲐ ᲕᲝᲠᲘᲡ

ამ დღეებში სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფსაზურმა დრამამ მაყურებლებს უჩვენა დრამატურგ რ. ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედია“, რომლის დადგმა ეკუთვნის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, ახალგაზრდა რეჟისორს ნელი ეშბას.

ეს დადგმა აღსანიშნავი იყო იმით, რომ სპექტაკლში პროფესორ მოორის როლი შასრულა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ.

სპექტაკლის დასასრულს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში აღზრდილმა ახალგაზრდა აფსაზმა მსახიობებმა სტუმარს და თავიანთ აღმზრდელს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს და მადლობის ნიშნად ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს. აკაკი ხორავას მონაწილეობა აფსაზური დრამის სპექტაკლში სოხუმის კინომოყვარულთა სტუდიამ ფირზე აღბეჭდა.

ნ. ᲛᲘᲥᲐᲕᲐᲕᲘᲫᲔ.

სიცოცხლის მეგობარი



ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ სუსხიანი ქარ-წვიმა გაბოროტებული ზმუილით ცხვირ-პირში უშენს ჩამობნელებულ შარაზე სწრაფად მიმქროლავ ცხენოსანს. მეზავრს სუნთქვა უჭირს, ხელები ეთოშება, მაგრამ ერთი წუთითაც არ ანელებს სვლას, იჩქარის...

აგერ მდინარე ხობისწყალიც. ღრიალით ეხეთქებიან ნაპირებს ფაფარაყრილი ტალღები, ბურთიკით ათამაშებენ ვეება მორებს;

— შენც მოგთოკავთ ტიალო! — თითქოს ბობოქარ ტალღებს გაეხმიანაო, ჩაილაპარაკა მგზავრმა, ცხენს სადავე დაუმოკლა და აქფეხებულ მდინარაზეში შეაგდო.

სხვა დროს ფეხით გადავიდოდა ბონდზე და ცხენს იქვე, წისქვილში დატოვებდა, მაგრამ ახლა ყოველი წუთი ძვირფასია მისთვის. სამშეფოდობოს გასული, ისევ აჩქარებს ცხენს...

შუაღამე გადავიდა. მხოლოდ ერთ ოდასახლში ანთია სინათლე და მალიმალ მოისმის კარის ჭრიალი.

— საშაში არაფერია. ნუშისმაგვარი ჯარკვლების დაჩირქების ნიადაგზე ყელი აქვს დახშული. უკვე გავათავისუფლე სასუნთქი გზები და ჩავაწვეთე მალამო. საშაში არაფერია! — ისევ გაიმეორა ექიმმა. — კარგი გიქნიათ დროულად რომ შემატყობინეთ. ახმარეთ ეს წამლები, და თუ საჭირო ვიყო, მაცნობეთ.

ამ სიტყვებით მან სწრაფად გადაიცვა საწვიმარი, მასპინძლებს დაემშვიდობა და ცხენი მოიკითხა.

— ამაღამ ჩვენთან დარჩით, ჩემო ბონდო, — სთხოვა ოჯახის უფროსმა, რომელსაც ანთებულ-ანთებული ეჭირა ხელში, — ასეთ ღამეში კაცს ვინ გაუშვებს გარეთ?! — შეეეედრა იგი.

— ვიცი, ვიცი, ჩემო იაკობ, მაგრამ უნდა წავიდე. ვინ იცის, იქნებ სხვაც მიცდის იქნებ სხვასაც ეჭირო...

* * *

...1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები იდგა. მაშინ ბონდო 11 წლისა იყო. სოფში ცხოვრობდა.

ყველას უყვარდა მკვირცხლი, მხიარული ბიჭუნა. უფროსები ენდობოდნენ მას, განსაკუთრებით კი ბიძია ავქსენტი. ეს ილმა მკურნალმა. რამდენს აღუდგინა შრომის უნარი! ერთი შემთხვევა კი არასოდეს არ დაავიწყდება ექიმს, რადგან მაშინ პირველად მოეცარა ხელი:

ისევ ბობოქრობს მდინარე ხობისწყალი, როგორც მაშინ, როცა უკუნ ღამეში ორჯერ გადალახა იგი და სიცოცხლე ანუკა ავადმყოფს. მხოლოდ ახლა უფრო ადიდებულა იგი, თითქმის დაუფარავს ახლო-მახლო ჭალები. არც ცხენი, არც ურმით არც მანქანით გადასვლა არ შეიძლება. სატრანსპორტო ხიდი კი აღარსად იყო... ღელავდა ექიმი, წუხდა სიცოცხლის მეგობარი, რადგან ავადმყოფი, რომელსაც ნაწლავების გადახლართვა ჰქონდა, მოითხოვდა სასწრაფო დახმარებას. ეს მძვინვარე სტიქია კი ხელ-ფეხს უბორკავდა..

ხობისწყალზე ხიდი უნდა ავაგოთ, — გადაწყვიტა ბონდომ. მალე მის ჩანაფიქრს საქმე მოყვა.

ყველაფერი თვითონ ითავა, სოფლის საბჭოს, კოლმეურნეობის გამგეობას ეხმარება სთხოვა.., თეთრი ნალითა აუცილებელი შემთხვევისათვის გადადო და ტანზე მუშის წინსაფარი იკრა.

ახლა არა მარტო მსუბუქი ავტომობილები, არამედ სატვირთო მანქანებიც უხიფათოდ გადადის ჯაჭვის ხიდზე...

სპეტაკ ჭაღარას დაუთოვია მბეთვანი ექიმის თმები. იგი უკვე 68 წლისაა. ბონდო ქვანაას ან, როგორც მას სოფლში ეძახიან, ჩვენს ბონდოს 45 წელია თეთრი ხალათი აცვია და დაუღალავად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. სოფლის საბჭოს პირველი არჩევნებიდან ფეხმდე მისი უცვლელი დეპუტატია! ვინ მოსთვლის მთავრობის რამდენი ჯილდო აქვს მიღებული ნაყოფიერი, თავდადებული შრომისათვის.

კაცმა რომ თქვას, თამამად შეუძლია პენსიაზე გავიდეს, დაისვენოს, დატკბეს თავისი შრომის ნაყოფით. მაგრამ...

— არა, ბაბაჩია, ჯერ არა! ახალი, ორსართულიანი კაპიტალური საავადმყოფო უნდა ავაშენოთ კიდევ! მერე კი დავულოცავ ახალგაზრდებს ჩემს საექიმო ხალათს, — გულღიად იტყვის ხოლმე იგი და დასძენს: — თორემ ახალგაზრდები ძველებურს დაგვიწუნებენ. მათ მეტი გემოვნება აქვთ...

საჯიაოს სასოფლო ცენტრში ხშირად შეგხვდებათ პატარა ტანის, ფაქიზად ჩაცმული, ჭაღარაშერთული სათვალიანი კაცი, რომელსაც ხელში ყოველთვის ქაღალდების შეკვრა, ან ახალი ჟურნალ-გაზეთები უჭირავს. ნელა მიაბიჯებს შარაზე.. ყველა იცნობს მას, ყველამ იცის, რომ ის არის საყვარელი ექიმი, ხალხის გულისხმიერი მსახური, მოამაგე დეპუტატი, გამოცდილი მკურნალი, ადამიანის სიცოცხლის მეგობარი.

ᲟᲐᲠᲐᲘᲐ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲗᲣ ᲣᲒᲣᲚᲝᲒᲝᲐ?“

ᲐᲛ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომიდან გვაცყობინებენ:

შეგამოწმეთ თქვენი გაზეთის 1962 წ. 20 იანვრის ნომერში მოთავსებულ წერილში „ზამთარი თუ უგულობა?“ აღნიშნული ფაქტები, რომელიც ეხებოდა ჩვენი რაიონის საზამთრო საძოვრებზე მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, აღნიშნული საკითხი 1962 წ. 24 იანვარს განხილა რაი კომის ბიუროომ და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. 15 იანვრიდან საზამთრო საძოვრებზე მივლინებულ იქნენ ექიმი და ექიმის თანაშემწე საჭირო მედიკამენტებით.

კულტურის განყოფილებას დაევალა 27 იანვრამდე გაგზავნოს აგიტმხატვრული ბრიგადა და ორ კვირაში ერთხელ უჩვენოს რამოდენიმე კინოსურათი.

რაიკომკავშირის გამგეობას დაევალა სისტემატურად აწარმოოს მწყემსთათვის მოძრავი ვაჭრობა.

ცეკავშირის გამგეობას ეთხოვა მოძრავი ვაჭრობის უკეთ მოსაწყობად გამოუყოს თელავის რაიკომკავშირს ერთი ავტომაღაზია.

ᲜᲣᲗᲣ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲛᲜᲐᲛᲐᲕᲔ?!

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ჩაის ფოთლის მოსავლის ერთ მესამედს ყოველწლიურად ოჩამჩირის რაიონი იძლევა. რაიონში არის კოლმეურნეობები, რომლებიც ჩაის პლანტაციების სანიმუშო მოვლა-პატრონობის შედეგად ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას.

მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები სავალალო მდგომარეობაშია, რის შედეგადაც ოჩამჩირელებმა ჩაშალეს ჩაის მწვანე ფოთლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულება და სამშობლოს 500 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი დაკარგეს. რაიონის მეჩაიეობის 30 კოლმეურნეობიდან ჩაის ფოთლის კრეფის დავალება 21 კოლმეურნეობას არ შეუსრულებია. ძალზე დაბალია ჩაის საშუალო მოსავლიანობა. შარშან ჰექტარზე 2.313 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. წინა წელს კი — 2.538 კილოგრამი.

ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რაიონში არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ასახელებენ, რაც არ არის სწორი. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ცუდი ამინდები კი არ არის, არამედ ის, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებებს სისტემატურად არღვევდნენ, პლანტაციებს სათანადოდ არ უვლიდნენ.

რაიონში სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციები 3.210 ჰექტარზეა გაშენებული, აქედან 700 ჰექტარზე მეტი ეკალ-ბარდით არის დაფარული, ჩაის ბუჩქები მოუვლელია, და ამ პლანტაციებში ფაქტიურად არავითარ მოსავალს არ იღებენ. ასობით ჰექტარი პლანტაცია ძლიერ გამეჩხერებულია. მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეობებში სიმეჩხერის მოსასპობად უკანასკნელ ხანებში ნაკლებად ზრუნავენ. არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ჩაის პლანტაციების რემონტი. სრულიად მივიწყებულია ისეთი პროგრესული ღონისძიება, როგორიც არის ჩაის პლანტაციების რემონტი შეხვსებული ნერგებით.

ადგილზე შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ჩაის ზამთრის სამუშაოებში, მიუხედავად ამინდის შედარებით ხელსაყრელი პირობებისა, სერიოზული ჩამორჩენაა. რაიონში ჩაის სამშმოდგომო თესვის საქმეც ჩაშალეს.

დეკემბერში რაიონში გამოცხადდა ჩაის სამუშაოების ჩატარების ერთთვიური. ჯერ ერთი, ჩაის სამუშაოებში არ უნდა არსებობდეს სეზონურობა. სამუშაოები დადგენილ აგროვადებში უნდა წარმოებდეს და არა ცალკეულ რომელიმე თვეში, მაგრამ რადგანაც ერთთვიური გამოცხადდა, მას სათანადო შედეგიც უნდა მოყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთთვიურის ჩატარების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, შესამჩნევი გარდატეხა არ მომხდარა.

ჩაის პლანტაციებში რიგთა შორის ბარეა და მინერალური სასუქების შეტანა გეგმით 4.173 ჰექტარზე უნდა ჩატარდეს. ეს სამუშაოები შეუწყნარებლად ჭიანურდება. ბარვისათვის თავს ნაკლებად იწუხებენ. ჯერჯერობით მხოლოდ 500-მდე ჰექტარი გადაბარეს.

სოფელ კინდღის კოლმეურნეობაში 1960 წელს 257 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, ხოლო შარშან 186 ტონა. რაშია საქმე, რატომ იკლო მოსავლიანობამ? საქმე ის არის, რომ შარშან გაზაფხულზე ამ არ ჩაიტარებიათ ბუჩქების გვერდითი გასხვლა, რ

კუბას ემუქრება ახალი აგრესია

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ნ. ტურკატენკო** იუწყება:

კუბას დაემუქრა ახალი აგრესიის საფრთხე — გააფრთხილა დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის დელეგატები სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა. პოლიტიკურ კომიტეტში რომ გამოვიდა კუბის წინააღმდეგ მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის ახალი გეგმებისა და ინტერვენციის აქტების შედეგად საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის წარმოქმნილი საფრთხის წინააღმდეგ კუბის პროტესტის განხილვის მსვლელობაში, ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა: შარშან შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კატეგორიულად კრძალავენ ჩარევას სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, და უკვე მოაწყეს შეიარაღებული ინტერვენცია კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამთავრებს უკანასკნელ მზადებას კუბელი ხალხის წინააღმდეგ ახალი აგრესიის დასაწყებად. პროპაგანდის დარგში ამ მთავრობამ სასწრაფოდ შეთითხნა ყალბი ბრალდებანი კუბის მიმართ, რომლებიც უნდა გამოიყენონ მომავალი სამხედრო შეჭრის იდეოლოგიურ საფარველად.

ეკონომიკის დარგში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად დაამთავრეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეწყვიტონ ვაჭრობა კუბასთან, რომელიც ახალი თავდასხმის ობიექტი უნდა გახდეს.

პოლიტიკის დარგში ამერიკის შეერთებული შტატები ყიენებენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის აპარატს და უკანასკნელ კვირეებში ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ იზოლირებული გაეხადათ მომავალი შეჭრის ობიექტი. პუტტა-დელ-ესტეს კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვდნენ კუბის გარიცხვას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან, რათა თავისუფლად ემოქმედნათ კუბის საშინაო საქმეებში შემდგომი ჩარევისათვის, კუბის წინააღმდეგ ახალი სამხედრო აგრესიის მომზადებისათვის.

სამხედრო დარგში ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ შეჭრის ძალების მომზადებას უშუალოდ ახლა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რიგებში და გვატემალის, ნიკარაგუასა და პანამის ტერიტორიებზე.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეგნებულად დაისახა თავის მიზნად ყოველგვარი საშუალების გამოყენებით დაამხოს დემოკრატიული რეჟიმი კუბაში.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საერთაშორისო ყაჩაღობის პრაქტიკის დაკანონების კურსი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ კუბის მიმართ, უაღრესად სახიფათო შედეგებს მოასწავებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ კუბა მარტოდმარტო არ არის. თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის კუბელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარეზეა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, რომლებიც ძნელ ჟამს ყოველგვარ საჭირო დახმარებას გაუწევენ კუბელ ხალხს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ ნათლად და არაორაზროვნად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ამ საკითხზე. კუბის რევოლუციის საქმისათვის ეს მტკიცე მხარდაჭერა ერთხელ კიდევ იყო დადასტურებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროსადმი ამა წლის 3 თებერვალს.

ვ. ა. ზორინმა მოუწოდა ყველას, ვინც არა სიტყვით, არამედ საქმით არის დაინტერესებული, რათა თავიდან აიცილონ კარიბის ზღვის რაიონში მოსალოდნელი დიდი საფრთხე — მხარი დაუჭირონ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის



რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოითხოვს ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას კუბის საშინაო საქმეებში და ყველა მოქმედებას, რომლებიც მიმართულია კუბის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის წარმომადგენლის ვ. ა. ზორინის გარდა, პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდა კუბის დელეგატი გარსია — ინჩაუსტეგი.

კუბის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუმცა გვატემალის წარმომადგენელი იმორუბდა თავისი ჩრდილოეთ-ამერიკელი კოლეგის არგუმენტებს, მას არ უარუყვია გვატემალის მთავრობის პასუხისმგებლობა კუბის წინააღმდეგ ინტერვენციისათვის, რომელიც სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

კუბის პოზიცია, თქვა მან, სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები გამოდიან აგრესორის როლში, რითაც არღვევენ ამ წესდებასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. კუბის დელეგატმა გამოთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საჭირო დახმარებას გაუწევს კუბას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

ჯ. კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ 7 თებერვალს საღამოს გამართულ მორიგ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები აქტიურად ემზადებიან ატომური იარაღის გამოცდისათვის ატმოსფეროში და რომ იგი „უყოყმანოდ გასცემს ბრძანებას მოაწყონ ასეთი გამოცდა, თუ გადაწყდება, რომ იგი საჭიროა შეერთებული შტატების ეფექტიანი შემაკავებელი ... ძალიერი ძალიერების დასაცავად“.

კენედიმ განაცხადა აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადაწყვეტილებას ატმოსფეროში ატომურ აფეთქებათა განხორციელების საჭიროების შესახებ მიიღებს უახლოესი თვეების განმავლობაში. რაც შეეხება შეერთებული შტატების მიერ ასეთი გამოცდების განხორციელების ადგილს, უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვაზე, იქნება თუ არა ეს ინგლისის შობის კუნძული, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აფეთქებათა ადგილის შესახებ პრესა შეიტყობს უახლოესი 24–28 საათის განმავლობაში.

ამ განცხადებასთან ერთად კენედი აშკარა პროპაგანდისტული მიზნით, ცდილობდა რა რამდენადმე მაინც შეენელებინა განცხადების უარყოფითი ეფექტი მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე, აღიარებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს მუდამ მზად არიან სერიოზული ნაბიჯი გადადგან, როგორც პრეზიდენტმა თქვა, „კონტროლსდაქვემდებარებული განიარაღების“ დარგში.

ამასთან დაკავშირებით, რომ ეს-ეს არის დამთავრდა ნატოს გენერალური მდივნის სტიკერის ვიზიტი ვაშინგტონში, პოლონური გაზეთის „ტრიბუნა ლუდუს“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ე. ბრონიარეკი შეეკითხა კენედის, რამდენად შორს წავიდა ამ ვიზიტის დროს დასავლეთის გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ ნატოს გადაქცევას დამოუკიდებელ ატომურ „სახელმწიფოდ“.

პრეზიდენტმა კენედიმ უარი თქვა პასუხი გაეცა ამ კითხვაზე და განაცხადა, რომ ამ საკითხს ამჟამად იხილავს ნატოს საბჭო.

პრეზიდენტის პრეს-კონფერენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პრობლემებს.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

✦ **კაიროში** გაიხსნა დიდი გამოფენა თემაზე: „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობა“. გამოფენაზე წარმოდგენილია პანორები და ფოტოვიტრინები, წიგნები, ბროშურები, სურათები და სხვა ექსპონატები, რომლებიც ასახავენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

✦ **200 ათას** კვადრატულ მეტრს — 20-ჯერ მეტს, ვიდრე 1949 წელს იყო, შეადგენს ამჟამად სათბურების საერთო ფართობი პეკინის გარეუბნებში. ბევრი სათბური აღჭურვილია ხელოვნური გაწვიმების დანადგარებით, დღის ნინათლის ნათურებით და სხვა სახეობის თანამედროვე მოწყობილობით.

✦ **ფრიდბერგის** რაიონში ჩამოვარდა და აფეთქდა რეაქტიული ავიაგამანადგურებელი, რომელიც დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერს ეკუთვნოდა. თვითმფრინავმა სტარტი აიღო ერდინგის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, მიუნჰენის ახლოს.

✦ **იაპონიის** მიმდინარე წლის პირველი თვის სავაჭრო ბალანსში დეფიციტი შეადგენს 221,6 მილიონ დოლარს. ეს ყველაზე დიდი დეფიციტია ომისშემდგომ წლებში. ამის შედეგად იაპონიის უცხოური ვალუტის მარაგი ინვარში სულ ცოტა 26 მილიონი დოლარით შემცირდა.

✦ **როგორც** ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო საიგონიდან იუწყება, სამხედროვიეტნამელმა პარტიზანებმა ჩამოაგდეს ერთი ვერტმფრენი, რომელიც ამერიკის სამხედრო მფრინავებს ეკუთვნოდა. აღნიშნული მისია ხელმძღვანელობს ნგოდინდიემელთა ჯარების სამარ მოქმედებას. ორი სხვა ვერტმფრენი დაზიანებულია. (საკდესი).

ინდიდენტი პაკისტან-ინდოეთის საზღვარზე

დელი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, ინდოეთის ხუთი საზღვრისპირა სოფელი, რომლებიც კარიმგანჯის რაიონში (ასამის შტატი) მდებარეობს, დაიკავეს პაკისტანელმა ქვეითებმა იმ საბაბით, რომ თითქოს ეს სოფლები აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზეა. პაკისტანის ჯარები, ნათქვამია ცნობაში, აგებენ ბარიერებს, ნათქვამია ცნობაში, აგებენ ბარიერებს საზღვარზე ინდოეთის სოფელ ტუკერგრამის რაიონში.

პორტუგალიელთა მხეცობა ანგოლაში

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. (საკდესი). ანგოლის საპყრობილეები გაჭედილია, ხოლო მხეცობა, რასაც პორტუგალიელები სჩადიან ანგოლაში, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ნაცისტთა ბოროტმოქმედებას, განაცხადა ორმა მისიონერმა, რომლებიც პორტუგალიის ხელისუფლებამ დაიპატიმრეს და შემდეგ გაასახლეს იქიდან როგორც ზედმეტი მოწმენი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მისიონერებმა ილაპარაკეს ომის შესახებ, რომ, როცა ანგოლის საპყრობილეები გაჭედილი აღმოჩნდება, აფრიკელებს ათავსებენ ბულდოზერით ამოთხრილ საერთო საფლავში და ხოცავენ.

პროვოკაციული წამოწყება

კარლსრუე, 7 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი **ი. ბორისოვი** იუწყება: დღეს აქ დაიწყო უბადრუკი ინსცენირება — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საჰაერო წარმომადგენლობის თანამშრომლის, ინჟინერ ვ. ა. პრიპოლცევის გასამართლება. დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ მას წუყენეს აბსურდული დაუსაბუთებელი ბრალდებანი „სადაზვერვო ცნობების“ შეგროვებაში. ეს პროვოკაციული წამოწყება დასავლეთ გერმანიის ხელისუფლების დაუშვებელი თვითნებობის აქტია, რომელსაც ყოველგვარი საფუძველს უქმნიდა ნახევარი წლის განმავლობაში უკანონოდ პყავდათ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქე.

ვ. ა. პრიპოლცევის დაპატიმრება და მისი ხანგრძლივი დაკავება საპყრობილეში საერთაშორისო სამართლისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის დადებული შეთანხმებების უხეში დარღვევაა. ამ შეთანხმებათა შესაბამისად სსრ კავშირის საჰაერო წარმომადგენლობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიჩნეულია სსრ კავშირის საელჩოს ნაწილად და, მაშასადამე, მის მუშაკებზეც ვრცელდება დიპლომატიური პრივილეგიები.

ინჟინერმა ვ. ა. პრიპოლცევმა მტკიცე პროტესტი გამოთქვა ამ სასამართლო ინსცენირების წინააღმდეგ. „პროტესტს ვაცხადებ ამ გასამართლების წინააღმდეგ, თქვა ვ. ა. პრიპოლცევმა, და კატეგორიულად უარვყოფ ჩემდამი წამოყენებულ ბრალდებებს, რომლებთანაც არაფითარი დამოკიდებულება არა მაქვს“.

აღსანიშნავია, რომ პროცესის დაწყებამდე, რამდენიმე წუთით ადრე სასამართლოს პრეს-რეფერენტმა შეკრიბა დარბაზში მყოფი ჟურნალისტები და დაჟინებით სთხოვა მათ არ მოეხსენებინათ თავიანთ „ნგარიშებში „მოწმეთა“ გვარები.

პრეს-რეფერენტის ფაცი-ფუცი საკმაოდ გასაგები გახდა მაშინ, როგორც კი გამოიძახეს ჩვენების მისაცემად პირველი „მოწმე“, ვინმე გერჰარდ ჰექმანი. ძლიერ მალე გამოირკვა, რომ იგი პროვოკატორი და დასავლეთ გერმანიის ეგრეთწოდებული კონსტიტუციის დაცვის უწყების აგენტია. მან თვითონვე განუცხადა ეს სასამართლოს. ძნელი როდია მიხვედრა, თუ ვის დავალებას ასრულებდა ეს „მოწმე“.

გასამართლება გრძელდება. მაგრამ უკვე ახლა ცხადია, რომ მთელი „საქმე“ თეთრი ძაფითაა ნაკერი. ამ წამოწყების მიზანი ერთია: გაამწვავონ ფსიქოზის ატმოსფერო და გააუარესონ ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის.

მოგუტუ ჩომგეს მაგალითს გაძავს

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც ლეოპოლდვილიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, გენერალი მობუტუ ამჟამად იღებს ღონისძიებებს საკუთარი სამხედრო ავიაციის შესაქმნელად, რომლის მეთაურთა შემადგენლობა მთლიანად დაკომპლექტებული იქნება უცხოელი ოფიცრებით.

როგორც ინგლისური გაზეთების „დეილი მეილისა“ და „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იუწყება, ამ სამხედრო-საჰაერო ძალების საარალი იქნება ბელგიელი მაიორი პეტერ დე გრეგე — ინგლისის სამხედრო საჰაერო ძალების ყოფილი ოფიცერი. მას უკვე ემორჩილება ინგლისის სამხედრო ავიაციის ორი ყოფილი კაპიტანი ჯოზეფ ვიატკინი და მაიკ ბანკომბი. ამ ან შემდგომ კვირაში ლონდონიდან მოელიან კიდევ ექვს ინგლისელ სამხედრო მფრინავს.

თვით დე გრეგეს სიტყვით, იგი ბელგიიდან ჩამოვიდა კონგოში მობუტუს მიწვევით, სათა სათავეში ჩაუდგეს სამხედრო-საჰაერო ძალებს, რომლებიც იქმნება. ამჟამად მობუტუს სამხედრო ავიაციაში შედის სამი თვითმფრინავი „დს-3“, ერთი „დს-4“, აგრეთვე რამდენიმე პატარა თვითმფრინავი და ვერტმფრენი, რომელთა უმრავლესობა ინგლისში შეისყიდეს. სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებში არის 586 კაცი, რომელთა უმრავლესობაზ კონგოელები შეადგენენ. მაგრამ თავისი სამხედრო ავიაციის სათავეში გენერალ მობუტუს, როგორც ჩანს, სურს დაყენოს უცხოელი ოფიცრები.

გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტი ჯონ სტარი წერს, რომ, როგორც დე გრეგე მტკიცედ არის დარწმუნებული, „აფრიკელთაგან სამხედრო საჰაერო ძალების მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად საჭირო იქნება 8 წელი“, „ხოლო მანამდე, — განაცხადა დე გრეგემ, — ჩვენ ვისარგებლებთ ინგლისელი მფრინავების სამსახურით“.

„დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იუწყება მობუტუს სამხედრო-საჰაერო ძალებში უცხოელი ოფიცრების მიწვევის შესახებ და გამოთქვამს აზრს, რომ ეს უცხოელები შეიძლება ჩაითვალონ დაქირავებულად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაწესებული ტერმინის ზუსტი შესაბამისობით. და ეს, წერს იგი, — „ეჭვი არ არის მტკიცე საფუძველი იქნება პრეზიდენტ ჩომბესათვის, რათა შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-საჰაერო ძალები, რომლებშიც დღემდე კიდევ არის ათამდე თეთრკანიანი მფრინავი“.



ნახ. გ. ლომიძისა.

მითი „საამერიკათშორისო ერთიანობის“ შესახებ გაიფანტა. შეიქმნა ქვეყნების გავლენიანი ჯგუფი, რომელიც ჩრდილოამერიკელთა თვალსაზრისს არ ეთანხმება. ესენი არიან ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა, ჩილი, ბოლივია, ეკვადორი, რომელთა მოსახლეობა 140.000.000 კაცს შეადგენს. ახლა ჩრდილოამერიკელები იძულებული არიან აღიარონ, რომ ქვეყნების ამ ჯგუფმა „გადატეხა ხელკეტი, რომელიც ამდენხანს აღმართული იყო ლათინურ ამერიკაზე“.

(გაზეთებიდან).

მკვლელობები, აფეთქებანი...

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). დღეც არ გაგა, რომ ალჟირსა და საფრანგეთში არ მოხდეს „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ წევრ მკვლელთა დანაშაულებრივი გამოხდომები. ალჟირში თავს დაესხნენ რადიოსა და ტელევიზიის ადგილობრივი სამსახურის გენერალურ დირექტორს უდინოს, რომელიც მძიმედ დაიჭრა. ალჟირის ნავსადგურ ბონის რეიდზე მდგომი სამგზავრო გემის „ვილ დე ბორდოს“ ტრიუმში გუშინ აფეთქდა საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრ ტერორისტთა მიერ ჩადებული ჯოჯოხეთური მანქანა. ოთხი მგზავრი მოკვდა, რამდენიმე დაჭრილია.

ქალაქ ორანში საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის კბილებამდე შეიარაღებულ წევრთა ჯგუფი შეიჭრა ადგილობრივი გაზეთის „ეკო ღ' ორანის“ რედაქციის შენობაში და ავტომატების მუქარით აიძულა რედაქციის მუშაკები მთელ გვერდზე დაებეჭდათ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის სპეციალური გამოცემა“, რომელშიც ქება-დიდებას ასხამდნენ 1961 წლის აპრილში ალჟირში მომხდარი სამხედრო-ფაშისტური პუტჩის მეთაურს სალანსა და მის თანამზრახველებს. გაზეთის ოცდაოთხი ათასი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ასეთი „სპეციალური მოწოდება“, „ულტრებმა“ გაავრცელეს მთელ ქალაქში.

თვით საფრანგეთში საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრებმა მოახდინეს მთელი რიგი ტერორისტული აქტები ლიონში, სტრასბურგში, მონპელიესა და ზოგიერთ სხვა ადგილას.

ფაშისტთა პროვოკაციებს რესპუბლიკელები და დემოკრატები უპასუხებენ მიტინგებით, დემონსტრაციებითა და გაფიცვებით. „სიუდ-ავიასიონის“ საავიაციო საწარმოს მუშებმა პარიზის გარეუბან კურნევში გუშინ მოაწყეს ხანმოკლე გაფიცვა, რითაც მხარი დაუჭირეს მოთხოვნებს — აღდგეს მშვიდობა ალჟირში და ალაგმონ ფაშისტი თავზეხელაღებულნი. უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ათასობით სტუდენტმა და მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა „დემოკრატიულ თავისუფლებათა ხელყოფის წინააღმდეგ და ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ პროტესტის დღეში“, რომელიც გუშინ მიმდინარეობდა საფრანგეთში.

„გავაკეთებთ ანტიფაშისტური მოქმედება, გავერთიანოთ მუშათა კლასისა და ყველა რესპუბლიკელის მთელი ძალები ამ ბრძოლაში — აი ერთადერთი საშუალება, იმისა — წერს დღეს გაზეთ „ლუმანიტეს“ მოწინავე სტატიაში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ეტიენ ფაჟონი, — რომ გავაუვნებლოთ საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრი მკვლელები და მათი თანამზრახველნი, მივაღწიოთ წმენდას არმიასა და პოლიციაში, დავაბრკოლოთ პირადი ხელისუფლების რეჟიმის გაღრმავება, რომელიც გზას უხსნის ფაშიზმს, მივაღწიოთ დემოკრატიის აღდგენასა და განახლებას“.

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). ფაშისტმა მკვლელებმა დღეს ტერორისტული აქტი მოახდინეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრის რაიმონ გიუიოს ბინაში. მათ მიერ ჩადებული ბომბის აფეთქებით დაჭრილი არიან გიუიოს მეუღლე და სამი მუშა, რომლებიც შორიახლოს მუშაობდნენ. თვით რაიმონ გიუიო აფეთქების მომენტში შინ არ იყო.

აფეთქების შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ „ულტრების“ ამ თავხედური პროვოკაციით აღშფოთებულმა პარიზის მუშებმა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყეს რესპუბლიკის მოედანზე, სადაც არის რ. გიუიოს ბინა.

პარიზი, 8 თებერვალი. (საკდესი). ჯერ კიდევ სანამ დაღამდებოდა, გუშინ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ფაშისტმა არამზადებმა 8 ბომბი აააფეთქეს პარიზში.

ფაშისტები თავს დაესხნენ ცნობილ მწერალს კომუნისტ ვლადიმერ პოზნერს. მწერალი დაჭრილია თავში მინის ნამსხვრევებით და წაყვანილია საავადმყოფოში.

სამი სხვა აფეთქება მიმართული იყო სამი ცნობილი პარიზელი პროფესორისა და ჟურნალისტის — ჟორჟ ვედელის, როჟე პენტოსა და გაზეთ „ფიგაროს“ თანამშრომლის სერჟ ბრომბერჟის წინააღმდეგ. მსხვერპლი არ არის, მაგრამ მატერიალური ზარალი მეტად მნიშვნელოვანია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო ინ რა ხელისუფლების მხრივ დაუსჯელობით, ოასელი ფაშისტი არამზადები თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებაში უკიდურეს ცინიზამდე მივიდნენ. შეხედეთ ზედა სურათს. ეს არის ეანა დ'არკის ძეგლი ალჟირში. მხოლოდ უთვისტომო ფაშისტებს, რომლებისთვისაც წმიდა არაფერი არსებობს, შეეძლოთ ასე შეებილწათ საფრანგეთის ეროვნული გმირი ქალის ხსოვნა.

ალჟირის ქალაქების ქუჩებში ყოველდღე ისმის თვითნაკეთი ბომბების აფეთქება და სროლა. ოასელები დღისით მზისით აწყობენ „ნადირობას“ ალჟირელ პატრიოტებზე, ხოცავენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. (ქვედა სურათი).

ფოტო ყოველკვირეულ ჟურნალ „ფრანს-ობსერვატერიდან“.

კამათი რაინის პირას

ევროპის ქვეყნებისათვის ის, რაც ამ კონტინენტის შუაგულში ხდება, პირველხარისხოვან ინტერესს წარმოადგენს. რასაკვირველია, დიდი ხანია წაივდა ის დრო, როცა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთ არც ესმოდათ და არც აინტერესებდათ, თუ რა ხდებოდა აზიაში და მათთვის არც თუ ახლო მდებარე ევროპაში. ის ხანაც შორეულ ისტორიას ეკუთვნის, როცა წესიერად ვერც კი წარმოედგინათ, რა ინტერესებით ცხოვრობდა ოფრიკა, ავსტრალია... ახლა სხვა დროა, ერთა, ხალხთა, სახელმწიფოთა შორის მრავალი სახის კავშირია გაბმული, იზოლირებულად, განცალკევებულად აღარავინ ცხოვრობს. ეს ასეა, მაგრამ ევროპელებს საკუთარი საზრუნავი აქვთ, სხვებს კი თავისი, ეს რეალური ისტორიული ვითარებაა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში.

ევროპის გულში მდებარეობს გერმანია, გერმანიის ორი სახელმწიფო, დემოკრატიული გერმანია და ფედერაციული გერმანია. ეს რეალური ისტორიული ფაქტია, რომლის უარყოფა მარტო უაზრობა როდია, პოლიტიკაში ამ ფაქტს უარყოფას ავანტიურიზმისაკენ, ომისაკენ მივყავართ, ბონში არა სურთ აღიარონ ეს ფაქტი. მაგრამ ფაქტების არსებობის უარყოფა, რეალური ცხოვრების ვითარებას არ ცვლის.

საბჭოთა მხარე მრავალგზის აღნიშნავდა, რომ თვით გერმანელების ეროვნული ინტერესი მოითხოვს, რათა ამ ორმა სახელმწიფომ გამოძებნოს აქტიური თანამშრომლობის და თანაარსებობის გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიური მოდუსი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის დროზე ორი სახელმწიფოს კონფედერაციის იდეა წამოაყენა. ისიც ცნობილია, რომ გერმანიის ყველა საკერძოროტო საკითხი შეიძლება საბოლოოდ გადაწყდეს მხოლოდ საზავო ხელშეკრულების დადების პირობებში.

არც თუ ისე ხშირად ყოფილა ისტორიაში შემთხვევა, რომ ომი დამთავრებულიყო და საზავო ხელშეკრულება თექვსმეტი წლის მანძილზე არ ყოფილიყო დადებული.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ნატოს წამყვანი, მთავარი ქვეყნები (რასაკვირველია, არა გერმანიის ინტერესებისათვის), ყოველთვის გამოდიოდნენ გერმანიის ერთიანობის წინააღმდეგ. „უკვე მრავალი წლის მანძილზე კარგად ცნობილია, — წერს ამერიკელი მიმომხილველი უოლტერ ლიპმანი, — რომ ორი დაპირება (მილიტარიზაცია და „ჩქარი გაერთიანება“) არ შეიძლება ერთდროულად შესრულდეს არც ახლა, არც ახლო მომავალში. საფრანგეთის ხელმძღვანელებზე უკეთ ეს არავინ იცის, ამას ლონდონშიც აღიარებენ. ამას უსიამოვნოდ აღასტურებენ ბონშიც. ამერიკელებისათვის, რომლებიც სერიოზულად სწავლობენ გერმანიის პრობლემას, ეს დიდი ხანია ცნობილი ფაქტია, გერმანიის ფიზიკური გაყოფა ფაქტია და ამ ფაქტს ფაქტიურად აღიარებს ნატოს ყველა ქვეყანა“.

ასეთ პირობებში გერმანიის საზავო ხელშეკრულების, დასავლეთ ბერლინის რთული საკითხის გადაწყვეტა პირველ რიგში გერმანელების ინტერესს წარმოადგენს.

პოლიტიკაში, საერთაშორისო ვითარეობაში ელემენტარულად ჩახედული ადამიანისათვის სავსებით ცხადია, რომ გერმანელთა ეროვნულ ინტერესს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ის პოლიტიკა, რომელსაც ახლა ბონში იხორციელებენ. ეს პოლიტიკა სხვების წისქვილის ბორბალზე ასხამს წყალს. ალბათ პოლიშინელის საიდუმლოებას გამოვამჟღავნებთ, თუ ვიტყვით, რომ ახლაც, როგორც მესამე რაიხის დროს, დასავლეთის ძლიერ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს კვლავ სურთ გადაიქცინონ გერმანია იმ ბასტიონად, რომელიც უნდა დაუპირისპირდეს საბჭოთა კავშირს, თუმცა ისიც ცნობილია, რომ არასოდეს არავინ ემუქრებოდა და მით უმეტეს არც ახლა ემუქრება ვიენნმე გერმანელ ხალხს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ მსოფლიო ომის დაწყების დროს სენატორის, შემდეგ ხანებში კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის ცნობილი ციტატები, რომლებიც ამბობდა: „დაე გერმანელებმა და რუსებმა ხოცონ ერთმანეთი, რაც უფრო მეტს დახოცავენ ისინი ერთმანეთს, მით უკეთესი“.

ჩვენი დროის ომი „ერთმანეთის ხოცვით“ არ შემოიფარგლება. გერმანიის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა განაცხადა: „ომი გერმანიის და ევროპის სხვა ქვეყნების სრულ განადგურებას, მათ დაღუპვას მოასწავებს“, ეს მართლაც ასეა, და აქედან სათანადო დასკვნის გაკეთებაა საჭირო.

ამ ბოლო დროს საერთოდ დასავლეთში, და განსაკუთრებით გერმანიაში, დიდი ‘ყურადღება მიიპყრო საბჭოთა პრესის, კერძოდ „პრავდაში“, „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულმა წერილებმა, სადაც ამ ფაქტებს მიექცა ყურადღება.

ბუნდესტაგმა და ჟურნალისტებმა არა თუ ისე შორეული წარსულის მაგალითებიც გიიხსენეს. მართლაც რატომ თვითონ გერმანელებმა არ უნდა გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები, რატომ უნდა დაუკავშირონ მათ თავიანთი ინტერესები სხვის ინტერესებს. ხომ ცნობილია, რომ სხვადასხვა სახელმწიფოები გერმანელების ხარჯზე ფიქრობდნენ **თავიანთი** ინტერესების მოგვარებას, და შეგვლით აჯახებდნენ გერმანიას არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ არც თუ იშვიათად თავიანთ უახლოეს დასავლელ მეზობლებს?

რატომ არ შეიძლება გერმანელებმა პირდაპირი და უშუალო მოლაპარაკება აწარმოონ საბჭოთა კავშირთან, ნეტარ მათ მედიატორები, შუამავლები სჭირდებათ? გერმანიის ისტორია ხომ არა მარტო ე. წ. დიდ ფრიდრიხს, ვილჰელმ მეორეს თუ ჰიტლერს იცნობს. გერმანიის ისტორია იცნობს ადრეთვე, მაგალითად, ბისმარკის, რატენაუს სახელებსაც, რომლებსაც გერმანიის ეროვნული ინტერესებისა ეროვნული პოლიტიკის უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა აღმოსავლეთ მეზობელთან ეკონომიური, კულტურული, პოლიტიკური, ყოველგვარი კავშირების გაბმა და განმტკიცება.

გერმანიის უმკვიანესმა პოლიტიკოსმა — „რაინის კანცლერმა“ ბისმარკმა გერმანელებს უანდერძა არასოდეს არ იომონ რუსების წინააღმდეგ, რადგან, როგორც ის იტყოდა, რუსეთთან ომის დაწყება არც თუ ძნელი საქმეა, მაგრამ სრულიად შეუძლებელია იმის გათვალისწინება, თუ რითი დამთავრდება ეს ომიო. ბისმარკის ამ პოლიტიკურ ანდერძს ითვალისწინებდა ვაიმარის რესპუბლიკის ყველაზე დიდი სამხედრო მოღვაწე, . გენერალ-პოლკოვნიკი ფონ სეტტი, რომელიც სპეციალურ მემორანდუმში აფრთხილებდა მთავრობას: „თუ გერმანია რუსეთთან ომს დაიწყებს, ეს სრულიად უიმედო ომი იქნება“. ფონ სეტტი ამას 1920 წელს წერდა, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ, სამხედრო სიძნელეებს განიცდიდა.

საერთაშორისო თემაზე

იგივე სეტტი ცოტა მოგვიანებით აფრთხილებდა გერმანელებს, მსოფლიოისტორიული მნიშვნელობის გადატრიალებათა წინაღმდეგ

ლეგენდარული გმირი

ვ. ი. ჩაპაევის დაბადების 75 წლისთავის გამო

დღეს შესრულდა 75 წელი სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის, საბჭოთა ქვეყნის მგზნებარე პატრიოტის, კომუნიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლის ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევის დაბადებიდან.

ვ. ი. ჩაპაევი დაიბადა 1887 წლის 9 თებერვალს, ჩებოქსარის მაზრის სოფელ ბუდაიკაში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. მძიმე და უსიხარულო იყო მისი ბავშვობა. ერთი წლის რომ შესრულდა, დედა გარდაეცვალა, რვა წლისა უკვე ლუკმაპატრისათვის ეწეოდა მძიმე შრომას, ხოლო „ბებუკობისას მამასთან და პაპასთან ერთად ხუროდ შუშაობდა ვოლგისპირა სოფლებში.

ვ. ჩაპაევი ახალგაზრდობიდანვე განმსჭვალა მშრომელი ხალხისადმი ღრმა სიყვარულით და მთელი თავისი მჩქეფარე ენერგია და ლმობიერ სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობას მოახმარა. მან არ იცოდა დაღლა, შიში, უკანდახევა. სადაც კი წაიყოდა და რა პირობებშიც უნდა ყოფილიყო, მას მშრომელ მასებში შეაქონდა ცხოვრების გარდაქმნის, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის სურვილი და მისწრაფება.

ვ. ჩაპაევს ბავშვობიდანვე დიდი სურვილი ჰქონდა მეცნიერ განათლება, მაგრამ უსახსრობის გამო სასწავლებელში შესვლა ვერ შეძლო. მაინც მძიმე ფიზიკურ მუშაობასთან ერთად იგი ძლივს დაბრკოლებებს და დამოუკიდებლად სწავლობს წერა-კითხვას. გულმოდგინედ კითხულობს გოგოლის, ტურგენევის, პუშკინის, ლერმონტოვის ხელნამოვებს, აგრეთვე სხვადასხვა წიგნებს ცნობილი მხედართმთავრების ცხოვრებიდან, ცნობა გარიბალდის, სუვოროვის, ალექსანდრე ზაკეფონელის, ნაპოლეონის ცხოვრებასა და სამხედრო ხელოვნებას.

1908 წელს ჩაპაევი მეფის არმიაში გაიწვიეს. იქ მან გაიარა მკაცრი სამხედრო წვრთნა. მამაცმა, უშიშარმა ვასილ ჩაპაევმა იმპერიალისტური ომის ფრონტებზე გამოიჩინა თავი როგორც შეუდრეკელმა, გამბრძოლმა მებრძოლმა და ოთხი სამხედრო ჯილდო, აგრეთვე უნტერ-ოფიცრის წოდება დაიმსახურა.

1915-1916 წლებში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ ძალიან დაასუსტა თვითმპყრობელობის პოზიციები. მზადდებოდა ირერიში მეფის ხელისუფლების შერყეულ ცხეკ-სიმაგრეზე.

ფრონტზე ვასილ ჩაპაევი თანდათან ღრმად უფიქრდება მოვლენების განვითარებას და საბოლოოდ რწმუნდება, რომ მშრომელთა ხსნა მონობისაგან მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას შეუძლია. 1917 წლის სექტემბერში იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის და მთელ თავის სიცოცხლეს განუყრელად უკავშირებს ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

1917 წლის ნოემბრიდან ვ. ჩაპაევმა თავი გამოიჩინა როგორც ლენინის იდეების ერთგულმა, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მგზნებარე პატრიოტმა. ომიანობა, ეკონომიკური ანარქია, ინტერვენტების ამბოხებებს, კონტრრევოლუციონერებმა ცომბირი დაიკავეს და ვოლგას მოუახლოვდნენ. სწორედ ამ დროს გაისმა ვ. ი. ლენინის შთამაგონებელი მოწოდება: „ყველანი კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ჩაპაევი უშუალოდ ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა ლიკვიდაციას ურალსკის, ნიკოლაევსკის, სამარის, ბუზულუკისა და უფის მისადგომებთან.

1919 წლის 5 მაისს ჩაპაევის 25-ე დივიზიას დაეკისრა ბუზულუკთან და ბუგურუსლანთან თეთრგვარდიელთა ურდოების განადგურება. 7 მაისს მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება ჩაპაეველებსა და კოლჩაკის ბანდას შორის. მტრის რაოდენობრივი უპირატესობის მიუხედავად ჩაპაევის პირადი მაგალითით აღფრთოვანებულმა წითელარმიელებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს.

ხუთი დღის სასტიკი ბრძოლების შემდეგ თეთრებმა იწყეს უკანდახევა უფისაკენ. 3 ივნისს ჩაპაეველებმა გადალახეს მდინარე ბელაია და ბრძოლა გააჩაღეს უფისათვის. ჩაპაევის საბოლოო შეურიგებელი და ულმობელი მებრძოლი.

საბჭოთა მთავრობამ ჩაპაევი 1918 წლის ოქტომბერში გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში მიაგზავნა. იგი დიდ ბეჯითობასა და გულმოდგინებას იჩენს და წარმატებით სწავლობს, ამასთან ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას მშრომელთა ფართო მასებში, ხშირად გამოდის მოხსენებებით კრებებზე, მიტინგებზე, მოუთხრობს მშრომელებს თავისი სამხედრო ნაწილის ბრძოლებზე რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

ოთხი თვის შემდეგ ვ. ჩაპაევისათვის აუტანელი გახდა აკადემიის კედლების „ყუდროება“. მან რამდენჯერმე შეიტანა განცხადება ფრონტზე გაგზავნის შესახებ. 1919 წლის იანვარში იგი უკვე ფრუნზეს მეოთხე არმიის 25-ე დივიზიის მეთაურია.

1919 წლის გაზაფხულზე ჩვენს ქვეყანას ახალი საფრთხე დაემუქრა: აღმოსავლეთიდან გაფთრებით მოიწევდა კოლჩაკი. დენიკინი ვარაუდობდა სარატოვში შეერთებოდა კოლჩაკს, რომ შემდეგ საერთო ძალებით დაერტყათ მოსკოვისათვის. იუდენიჩი პეტროგრადს უტევდა. ჩრდილოეთში ინგლისს, ამერიკისა და საფრანგეთის შეერთებული სამხედრო ძალები მოქმედებდნენ. უკრაინაში ანტანტის აგენტები ამზადებდნენ კონტრრევოლუციურ ამბოხებებს. კონტრრევოლუციონერებმა ცომბირი დაიკავეს და ვოლგას მოუახლოვდნენ. სწორედ ამ დროს გაისმა ვ. ი. ლენინის შთამაგონებელი მოწოდება: „ყველანი კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად“.



ხელოვანი მეომრები ძნელი ამოცანის წინაშე იდგნენ. დივიზიას უპირისპირდებოდა მტრის სამი კორპუსი. თეთრები კონტრიერაშზე გადმოვიდნენ, გაჩაღდა სასტიკი და უთანასწორო ბრძოლა. ვ. ი. ჩაპაევმა პირადი მაგალითით აღაფრთოვანა თავისი ლაშქარი. გაისმა მისი მშეკარე ხმა: „მომყევით ირერიშზე, წინ!“ მტერმა მოულოდნელი თავზარდამცემი დარტყმა იგემა, და უფა აღებულ იქნა.

ჩაპაევის დივიზია უფაში რომ შევიდა, აღფრთოვანებული ხალხი გაეახოდა: „დიდება ჩაპაევს! ვაშა გმირს!“ ამ ოპერაციის ბრწყინვალედ შესრულებისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა მთავრობამ ვ. ჩაპაევი „წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოვა.

1919 წლის ივნისში ჩაპაევის დივიზია გადაისროლეს ურალის ფრონტზე წითელი გარნიზონის მისაშველებლად, რომელიც თეთრების ალყაში იყო. ჩაპაეველებმა გაანელეს მტერი და განაგრძეს თეთრების დევნა.

სამოქალაქო ომის ისტორიამ შემოგვინახა ჩაპაევის მხედრული ოსტატობის მრავალი მაგალითი. ეი ერთი მთგანი: შემოდგომა იდგა, ურალსკის დივიზია ფლანგებიდან უტევდა თეთრგვარდიელებს. წითლების წარმატებისათვის აუცილებლად საჭიო იყო ხუტორის აღება. ჩაპაევმა გადაიცვა თეთრგვარდიელი გენერლის ტანსაცმელი, მებრძოლებიც თეთრგვარდიელთა ფორმაში გამოაწყო და სომაგრეში შეავლა. მას გამოეკიმნენ თეთრგვარდიელები და მოწყნებით პატეკი მისცეს. ჩაპაევმა კი ელვის სიხარეთით ორო ორი რეგოლვერი და შესახოა თეთრგვარდიელებს: „დაგვნებდით, მე ჩაპაევი ვარ!“ თავზარდაცემულმა თეთრგვარდიელებმა იარაღი დაყარეს. ხუტორი აღებულ იქნა.

1919 წლის 14 ივლისს ჩაპაეველებმა დიდი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ზლატოუსტი და გაიკაფეს გზა ციმბირისაკენ. 19 აგვისტოს 25-ე დივიზიამ ურალსკი გაათავისუფლა.

ვ. ჩაპაევის დივიზია გმირულად განაგრძობდა მტრის განადგურებას და დევნას, მაგრამ კონტრრევოლუციონერებმა ბოლოს მაინც მოახერხეს ჩაპაევის ბანაკში გამცემლების შეპარება. 1919 წლის 5 სექტემბერს თეთრებმა ალყა შემოარტყეს ჩაპაევის შტაბს სტანიცა ლებიჭენსკაიასთან... ჩაპაევს ცალ ხელში შაშხანა ეჭირა, ხოლო მეორეში რევოლვერი. ბრძოლაში იგი ძმიდედ დაეკრეს. ჩაპაევმა პირანგის წახელოთი მოიწმინდა სისხლი, მდინარე ურალში გადახტა, მაგრამ მტრის ტყვიას ვეღარ გაექცა. თავში დაჭრილი ჩაპაევი მდინარე ურალის ტალღებმა შთანთქა...

სამოქალაქო ომის ლეგენდარულმა გმირმა ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევმა 32 წელწადი იცოცხლა, მაგრამ ამ მოკლე დროში იმდენი მამაცობა და გმირობა გამოიჩინა, რომ მისი ვაჟაკაცური სახელი სამუდამოდ დარჩა ჩვენი ხალხის ხსოვნაში. მისი სახელი ახალგაზრდობის შთაგონებს ხალხისა და სამშობლოსადმი უმწიკლო სამსახურს, მტრებისადმი სიძულვილსა და შეურიგებლობას.

დიდი სამამულო ომის დროს ჩაპაევის სახელობის დივიზია გმირულად უტყუამდა ჰიტლერელ დამპყრობლებს. მამის ტრადიციებზე აღზრდილი შვილი ჩაპაევისა — ალექსანდრე ვასილის-ძე ჩაპაევი სამამულო ომის ფრონტზე პოლკოვნიკის ჩინით მეთაურობდა საარტილერიო ბრიგადას და გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მტრის მრავალრიცხოვან ტექნიკასა და ცოცხალ ძალას.

დღეს საბჭოთა ხალხი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავს რევოლუციის მგზნებარე რაინდის ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევის დაბადების 75 წლისთავს.

ნ. ჩხაიძე,
ტ. მეგრელიშვილი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ვ. ი. ჩაპაევის ძეგლი მისი უკანასკნელი ბრძოლის ადგილას დასავლეთ ყაზახეთის ოლქის დაბა ჩაპაევოში; მარჯვნივ — დაბა ჩაპაევო. შენობა, სადაც მოთავსებული იყო ჩაპაევის დივიზიის შტაბი 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში.

ქართული ოპერის სათავეებთან

ქართული მუსიკის ისტორია, მიუხედავად ცალკეული მკვლევარების და მუსიკათმცოდნეების დაუღალავი მოღვაწეობისა, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და სისტემაში მოყვანილი, საბოლოოდ არ არის დადგენილი მისი განვითარების გზები. ამიტომ ყოველი ახალი ნაშრომი, რომელიც მიძღვნილი იქნება ქართული მუსიკის საკითხების შესწავლისადმი, ფართო საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ასეთ ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის ცნობილი მუსიკათმცოდნის პროფესორ პაველ ხუჩუას მონოგრაფიული გამოკვლევა „მელიტონ ბალანჩივაძე“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

ჯერ კიდევ ამ ოცდაათიოდე წლის წინათ მხცოვანი კომპოზიტორის მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით დ. არაყიშვილი წერდა: „მელიტონ ბალანჩივაძეს წ�ლად ხვდა იშვიათი ბედნიერება — ჩაედო პირველი ქვა ქართული მხატვრული მუსიკის სამრეკლოში და შემდეგ, ორმოცდაათი წლის მანძილზე ამაყად ედევნებინა თვალი იმისათვის, თუ როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა ეს შენობა“.



მელიტონ ბალანჩივაძის დიდი დამსახურება მშობლიური ქვეყნის წინაშე და ქართველ ხალხში მისი უყვარავი სახელის პოპულარობის უპირველესი წყაროა იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი პირველი რომანსებით, ხალხური სიმღერების შეკრება-დამუშავებით, მის მიერ შექმნილი ეროვნული საოპერო მუსიკის პირველი ნიმუშებით და საკონცერტო გამოსვლებით ჯერ კიდევ 900-იან წლებში განამტკიცა თანამედროვეობაში რწმენა ქართული მუსიკალური ხელოვნების აღორძინების რეალური შესაძლებლობისა. მ. ბალანჩივაძემ შეასრულა ისტორიული მნიშვნელოვანი როლი, როგორც ეროვნული სამუსიკო სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ქართული რომანსისა და ოპერის სათავის დამდებმა, მშობლიური მუსიკის დიდმა პროპაგანდისტმა საქართველოსა და რუსეთში და ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში რეალისტური მიმართულების გულმოდგინე დამცველმა.

მონოგრაფიის პირველ თავში მოთხრობილია მომავალი კომპოზიტორის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებზე. მკითხველი ეცნობა ბალანჩივაძეების ოჯახს, ბატარა მელიტონის სწავლას ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში. 1877 წელს მუსიკით გატაცებულმა ახალგაზრდა მელიტონმა თავი დაანება ქუთაისის გიმნაზიას და თბილისსაკენ გაეშურა, სადაც სასულიერო სემინარიაში შევიდა. აქვე, თბილისში, ეგზარქოსის გუნდის ლოტბარმა აუშვემა — ამ განათლებულმა და კულტურულმა ადამიანმა გააცნო მელიტონს მუსიკის თეორიისა და პროფესიული საგუნდო ხელოვნების ძირითადი საფუძვლები.

კომპოზიტორის ბიოგრაფიას ვეცნობით იმ საზოგადოების ცხოვრების ფონზე, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს არის არა მარტო მ. ბალანჩივაძის ბიოგრაფია, არამედ იმდროინდელი თბილისისა და ქუთაისის მოწინავე საზოგადოებრივობის მუსიკალური ცხოვრების ისტორიაც. აქ ქართველი საინტერესო ცნობებს იპოვნის ფ. ქორიძის, ა. მიზანდარის, ლ. აღნიაშვილის, ი. რატლის და ქართულ მუსიკალური კულტურის სხვა მოამაგეების შესახებ.

მეორე თავში მკითხველი ეცნობა მ. ბალანჩივაძის ცხოვრების პეტერბურგისეულ პერიოდს (1889—1917 წ.წ.), სადაც იგი სწავლობდა კონსერვატორიაში.

აღნიშნულ პერიოდში მ. ბალანჩივაძეს დიდი მუშაობა გასწია როგორც ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდისტმა. იგი დროდადრო ჩამოდიოდა საქართველოში მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების ჩასაწერად, ხოლო შემდეგ მათ ასრულებდა კონცერტებზე, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით იმართებოდა „ქართული საღამოების“ სახელწოდებით პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

მ. ბალანჩივაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო დიდი რუსი კომპოზიტორის მ. ი. გლინკას პირადი წერილების სრული კრებულის გამოცემის საქმეში. საგანგებოთ მართებულად აღნიშნავს ცნობილი საბჭოთა მუსიკათმცოდნე, ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორი ა. ვ. ოსოვსკი: „რუსი საზოგადოებრიობისა და რუსული მუსიკათმცოდნეებისათვის მ. ბალანჩივაძის მოღვაწეობა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. მ. ი. გლინკას წერილების სრული კრებულის გამოცემით მან თავისთავს ძეგლი აუგო“.

მესამე თავში გადმოცემულია კომპოზიტორის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, რომელიც მან საბშობლოში გაატარა. აქ ლაპარაკია მის პედაგოგიურ და მუსიკალურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

მონოგრაფიის მეოთხე და მეხუთე თავებში განხილულია მ. ბალანჩივაძის შემოქმედება — რომანსები და ოპერა „დარეჯან ცბიერი“. განსაკუთრებით საფუძვლიანად არჩევს ავტორი ოპერას, გვაცნობს მისი დადგმის ისტორიას. ეს არის ოპერის წმინდა პროფესიული ანალიზი, და მონოგრაფიის ავტორს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი წარმოდგენილია მარტივი პოპულარული ენით. ამიტომ არაპროფესიონალი მკითხველიც ადვილად და ინტერესით კითხულობს წიგნს.

მონოგრაფიას თან ერთვის მრავალმხრივ საყურადღებო შენიშვნები, რომლებშიც მოცემულია დამატებითი ცნობები ნაშრომში მოხსენიებულ მოღვაწეებზე. აქ აგრეთვე განხილულია ბევრი საინტერესო საკითხი, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ქართული მუსიკის ისტორიასთან.

ლ. კიკნაძე.

ვ. ბორისენკო—სსრ კავშირის ჩემპიონი

ერევანი. 8 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს სომხეთის დედაქალაქის ფილარმონიის მცირე დარბაზი ვერ იტევდა ჭადრაკის მოყვარულებს. ინგლრეცი ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურისადმი განსაკუთრებით დიდი იყო, რადგან სწორედ ამ ტურის შედეგებს უნდა გამოვლენა ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი.

ლიდერთა ჯგუფიდან მხოლოდ სსრ კავშირის გასული ჩემპიონი ვ. ბორისენკო იყო დაწინაურებული. იგი უახლოეს მეტოქეებს — ვოლპერტს, ტოგონიძეს, კუშნირსა და ზატულოვსკაიას ერთი ქულით უსწრებდა. ამიტომ ჩემპიონის გამოსავლენად პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბორისენკოსა და ვოლპერტის პარტიას.

ამ პარტიის მოგების შემთხვევაში ვოლპერტს ბორისენკოსთან ერთად ქულათა თანაბარი აგენტები ექნებოდა და პირველობის საკითხს დამატებითი მატჩი გადაწყვეტდა. ამიტომ ვოლპერტი ბრძოლის გართულებისაკენ ისწრაფოდა და მოწინააღმდეგეს პაიკიც კი შესწირა. ბორისენკო ფრთხილად და ზუსტად თამაშობდა, მან მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღო. ბრძოლის შემდეგმა მსვლელობამ ვოლპერტს არაფერი მოუტანა. და როდესაც ბორისენკომ მას მეორეჯერ შესთავაზა ყაიმი იგი დათანხმდა.

ამრიგად, ვ. ბორისენკომ 19 შესაძლებლიდან 13,5 ქულა შეაგროვა და მეხუთეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

ტოგონიძე - რანიკუს პარტიაში პირველს თავიდანვე უარესი პოზიცია შეექმნა. მალე რანიკუმ მოწინააღმდეგეს ხარისხი შესწირა და ძლიერი იერიში მიიტანა. ცაიტნოტში ტოგონიძე ზუსტად ვერ თამაშობდა, დაკარგა კუდა 36 სვლაზე დანებდა.

კოზლოვსკაიამ მოუგო შადურას. კაცკოვას გამარჯვება ჩაეთვალა ტურნირიდან გასულ სემიონოვასთან. ვოიცკმა დამარცხა ლიაპუნოვა, ზვორიკინამ — იაკირი. იგნატიევა-ბიშარდის, ტოხომიროვა - კუშნირისა და კაკაბაძე - ნახიმოვსკაიას პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. როოტარე - ზატულოვსკაიას პარტია გადაიდო. ზატულოვსკაიას ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს.

ამრიგად, კუშნირმა და ვოლპერტმა ჩემპიონატი თორმეტნახევარ - თორმეტნახევარი ქულით დამთავრეს. ტოგონიძემ 12 ქულა შეაგროვა. ზატულოვსკაიას 12 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

9 თებერვალს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

სურათზე: ვ. ბორისენკო.

„თეთრი სპარტაკიადა“

ბაკურიანი. 8 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მეორე დღეა გრძელდება საქართველოს ზამთრის პირველი სპარტაკიადა.

სათხილამურო ესტაფეტაში ქალთათვის 3×5 კილომეტრზე გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა კრუგლოვამ, ოსიპოვამ და ბანდურის შემადგენლობით. ეს დისტანციი მათ გაიბრძნეს 1 საათში 13 წუთსა და 3 წამში. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ბორჯომისა და თბილისის მეორე გუნდებმა. თბილისის პირველი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე ვაჟთათვის. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ — კოზნაშვილი, სანაკოევი, ვეზდენი, ზნაგრენკო. მანძილი მათ დაფარეს 2 საათში, 27 წუთსა და 26 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა ბორჯომის გუნდი.

სპეციალურ სლალომში უძლიერესი იყო თბილისელი აბრამაშვილი. ორი ცდის ჯამით მან აჩვენა დრო — 1 წუთი და 7 წამი. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ჯეერანაშვილმა (თბილისი), ყოზანაშვილმა (ბორჯომი).

დღეს გაიმართა აგრეთვე შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, რომელიც ორჭიდის პროგრამაში შედის. აქ უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატი გავა, რომელმაც 221 ქულა შეაგროვა (პირველი ნახტომი უდრიდა 69 მეტრს, მეორე — 62,5 მეტრს). 208,5 ქულით მეორე ადგილზეა ნაგოგა (თბილისი). მესამე ადგილზე გამოვიდა ფ. თვაური. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე ზ. თვაურმა 225 ქულა შეაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ფიგურულ ცეგურაობაში დღეს პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ წყვილები. აქ ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენეს ნ. მანჯგალაძემ და თ. ხანიაშვილმა (154,2 ქულა). პიროდ პირველობამ ბოგოხანოვ შორის დაწინაურდნენ ნ. მანჯგალაძე, ი. არხანგელსკაია და მ. ცინცაბაძე, ჭაბუკთა შორის — ი. ჯაფარიძე, თ. ხანიაშვილი.



გაიმართა მორიგი მატჩები ჰოკეში. შედეგები ასეთია: ახალქალაქი-ახალციხე 22:0, ბორჯომი-მესტია 8:2, თბილისი (პირველი)-აჭარა 2:1, თბილისი (მეორე)-ქუთაისი 12:5.

ორი დღის ასპარეზობის შემდეგ საერთო მაჩვენებლების მიხედვით პირველ ჯგუფში სპარტაკიადის ლიდერია თბილისის პირველი გუნდი.

ჰოკეი ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ყველაზე ახალი სახეობაა. მიუხედავად ამისა, მან ფართოდ გაიდგა ფესვები და ახლა ჩვენს ჰოკეისტებს ეხედებით საკავშირო მიშვნელობის სხვადასხვა ასპარეზობებში. ამჟამად ბაკურიანში მიმდინარეობს საქართველოს ზამთრის პირველი სპორტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად შედის ჰოკეი. **სურათზე:** თბილისის მეორე და ახალქალაქის გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

„ტერეზას დაბადების დღე“

...

...ბ. ალექსიძე, მხატვრულად აფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი. მუსიკა დაწერა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. თორაძემ.

— „ტერეზას დაბადების დღე“ ჰეროიკული დრამაა, — განაცხადა რეჟისორმა დ. ალექსიძემ. — მისი მთავარი იდეაა ბრძოლა კოლონიზატორების წინააღმდეგ. პიესა ორ ეპოქაშია გადაწყვეტილი. ერთი მხრივ ეს არის ღრმა პოეტური ლირიკა და მეორე მხრივ მკვეთრი პოლიტიკური პუბლიცისტიკა. ჩვენი ამოცანაა შევქმნათ ჰეროიკული სპექტაკლი, რომელიც მოუწოდებს პროგრესულ კაცობრიობას დაუცხრომლად იბრძოლოს კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

სპექტაკლი უჩვეულოდ იწყება. 15 წუთით ადრე თეატრის შენობის ფასადზე ინთება ულტრაკლამა — „დღეს ტერეზას დაბადების დღეა“, და რადიოში ისმის კუბური სიმღერები, რომლებიც სცენაზე ფარდის ახდამდე გრძელდება. თეატრი ფიიეში გამოფენილი იქნება მხატვარ ნ. იანქომეილის კუბური ჩანასატები.

სპექტაკლში მონაწილეობენ ა. ხორავა, გ. სალარაძე, ე. აფსაიძე, ს. ყანჩელი, მ. ჩანავა, ბ. ზაკარიაძე, ლ. ჭავჭავაძე, თ. თარხნიშვილი, ე. საყვარელიძე, რ. ჩხეიძე, ნ. მგალობლიშვილი და სხვ.

„ტერეზას დაბადების დღეს“ ჩვენი მაყურებელი ნახავს თებერვლის მეორე ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ დ. ალექსიძე ამავე სპექტაკლის დასადგმელად მიწვეულია კიევის ფრანკოს სახელობის აკადემიურ თეატრში. უკრაინის სცენაზე სპექტაკლს მხატვრულად აფორმებს ფ. ლაპიაშვილი, ხოლო მუსიკალურად კომპოზიტორი დ. თორაძე.

შემთხვევები

ავტომძღოლის კეთილშობილება

ეს მოხდა ამბროლაურში. ჭელიაღელის სასოფლო კოოპერატივის გამგეობის მუშაკმა გ. ცაგურიშვილმა ცენტრალური ხაყოფიდან დიდძალი სამრეწველო საქონელი მიიღო, ავტომანქანაზე დატვირთა და სავაჭრო ქსელში გასანაწილებლად წაიღო. იმ დღეს განაწილება ვერ მოასწრო და გ. ცაგურიშვილმა ღამე სოფელში გაათია. დილით დარჩენილი საქონელი გადათვალა და აღმოჩნდა დანაკლისი. აკლდა ძვირფასი ქსოვილის ბარდანა, რომლის საერთო ღირებულება 280 მანეთს შეადგენდა. ვერ მოიგონა ხად შეიძლებოდა დაკარგოდა.

ამ დროს ჭელიაღელეში ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ჩვენ, თლუდიდან გელაპარაკებით. ეს არის სოფლის მაღაზიაში მოიტანეს ნაპოვნი ქსოვილი, გთხოვთ დაკვეხმაროთ პატრონის მოძებნაში! — მკაფიოდ ისმოდა ყურმილში მამაკაცის ხმა.

დაკარგული ქსოვილის მპოვნელი აღმოჩნდა ავტომძღოლი უჩა კბილაძე.

როდესაც ღამით სამრეწველო საქონლით დატვირთული ავტომანქანა სალოს მთაზე მიდიოდა, ძარადან ქსოვილის ბარდანა გადმოვარდნილა, რომელიც უპოვნია იმავე გზაზე ავტომანქანით მომავალ უკბილაძეს. ნაპოვნი გ. ცაგურიშვილმა ჩაიბარა.

ვ. ცირეკიძე.

...ოვნების ...ტრიბუნა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში (რუსთაველის გამზირი № 29) 196; წ. 10 თებერვალს, საღამოს 7 საათზე შედგება თემატიური საღამო — „ადამიანი ადამიანისათვის ამხანაგი, მეგობარი და ძმაა“.

შესვლა თავისუფალია.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი გმირები

ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ქვეყნდება, რომლებმაც მკითხველთა დიდი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა. ჩვენი დღევანდელობის, საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანების, კომუნიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე რესპუბლიკის მიღწევების ჩვენება — აი ის ძირითადი თემატიკა, რომელსაც ემბაურება ჟურნალში დაბეჭდილი მასალების უდიდესი ნაწილი, ლექსად იქნება წარმოდგენილი, პროზად თუ მხატვრული ნარკვევის სახით.

გასულ წელს ჟურნალში თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ბევრი საინტერესო მოთხრობის გარდა გამოქვეყნდა ორი დიდი რომანი. მათგან ახალგაზრდა პროზაიკოსის ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, რომელიც ასახავს სამამულო ომის მძიმე დღეებში ქართველი ხალხის გმირულ შრომასა და ბრძოლას გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, და მეორე — აკ. ბელიაშვილის — „ზვიდკაცა“. ამ ნაწარმოებში მკაფიოდ არის ლახტული ჭიათურის ახალგაზრდა მუშების ყოველდღიურობა, მათი თავდადება, შრომა.

თავის მომავალ მუშაობაში ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საპატიო ამოცანად თვლის სკკპ XXII ყრილობის მასალების, პარტიის ახალი პროგრამის ფართოდ გაშუქებას. ამ მხრივ უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, გამოქვეყნდა ჩვენი მოწინავე მწერლებისა და მეცნიერების სტატიები, გამოსმაურება.

გვესაუბრება ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი
გრ. აბაშიძე

მიმდინარე 1962 წელს ჟურნალს განზრახული აქვს გამოაქვეყნოს კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, ალ. ქუთათელის ახალი ნაწარმოებები. რედაქციას პორტფელში უკვე აქვს გ. შატბერაშვილის, გ. ნატროშვილის და ბევრი სხვა ცნობილი ქართველი პროზაიკოსის მოთხრობები.

ჩვენი მკითხველები გაეცნობიან დავით კვიცარიძის რომანს ქუთაისის მანქანათმშენებლების ცხოვრებაზე და თენგიზ გოგოლაძის რომანს სამამულო ომის თემაზე. ამ ავტორებთან რედაქციამ ხანგრძლივად იმუშავა ლიძის, მ. მაჭავარიანის, თამაზ დოთარ და მალე ჟურნალი დაიწყებს მათი ნაწარმოებების გამოქვეყნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ქართული პროზას საამედო ძალა შეემატა. ესენი არიან ა. სულაკაური, ო. იოსელიანი, რ. ინანიშვილი, ე. ყიფიანი, მ. ელიოზოშვილი, თ. ნატროშვილი და სხვები. ჟურნალში დაიბეჭდება ამ ახალგაზრდა ავტორების ახალი ნაწარმოებები.

ივნვრის პირველი ნომრიდან „მნათობში“ დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ უკანასკნელი წიგნის ბოლო თავების ბეჭდვა. წლის ბოლომდე მკითხველი მიიღებს ამ დიდ რომანს უკვე დასრულებული სახით.

თანამედროვე ქართული პოეზიის შთაგონება და მთავარი თემა კვლავაც იქნება ჩვენი ბედნიერი აწმყო და საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი. მკითხველები გაეცნობიან გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ხ. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის, ხ. ბერულავას, ო. ჭელიძეების ახალ ლექსებს.

სისტემატურად გამოქვეყნდება მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების გმირული შრომა. იანვრის ნომერში იბეჭდება პოლიკარპე კაკაბაძის ახალი კომედია „ცხოვრების ჯარა“. მომდინარე წელს ჟურნალის ფურცლებზე ქართველ დრამატურგთა ბევრი საინტერესო ნაწარმოები დაიბეჭდება.

ჩვენს ჟურნალში სიახლეა განყოფილება — „მეცნიერების სამყაროში“, სადაც აისახება საბჭოთა მეცნიერებას მიღწევები, ქართ